ორგანიზაციის საქმიანობის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება თავისუფლება თანასწორობა DIGNITY LIBERTY EQUALITY ნოემბერი, 2013, №05 (5)

მიმართვა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისში პარკირების მუშაობით დაინტერესდნენ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფი, დედაქალაქში პარკირების სისტემის გამართულობით დაინტერესდნენ. 2013 წლის 21 ნოემბერს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მერ გიგი უგულავას და შემდეგ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მოითხოვა:

1. რომელი კომპანია უზრუნველყოფს, რა პერიოდიდან და რა ვადით თბილისში პარკირების სისტემის გამართულობასა და მენეჯმენტს?

2. თბილისის მერიის მიერ, რომელი კომპანიების მიმართ გაიცა ნებართვა პარკირების მენეჯმენტის შესახებ?

3. რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე რეგულირდება თბილისში პარკირებასთან დაკავშირებით ნებართვების გაცემა? გთხოვთ, მიგვითითოთ იურიდიული აქტის დასახელება.

4. 2011—2012 წლებსა და 2013 წლის 1 იანვრიდან მიმდინარე წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით, რა ოდენობის მოგება შეადგინა დედაქალაქის პარკირების სისტემიდან შემოსავალმა?

5. მოგვაწოდოთ ინფორმაცია, ქ. თბილისის მერიას, დედაქალაქში გადატვირთული მოძრაობის გათვალისწინებით, გააჩნია თუ არა პარკირების სისტემის შემდგომი განვითარების გეგმა ან/და რა ფორმით მონაწილეობს ქ. თბილისის მერია ასეთი გეგმის შექმნაში? იგეგმება თუ არა რაიმე ახალი ინიციატივა/პროექტი პარკირების ადგილების სიმცირის გამოსწორების მიზნით?

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თბილისის მერიას კიდევ ერთ საკითხზე — ლიფტებით მგზავრობისთვის საბარათე სისტემის შემორების ინიციატივითაც უკვე მიმართეს და არსებულ სქემას კორუფციული უწოდეს. ორგანიზაციამ თბილისის მერიიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, რომლის თანახმადაც, თბილისის მერია პასუხისმგებლობას ირიდებს და მწყობრიდან გამოსული ლიფტების აღდგენას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს აკისრებს. წერილში, ერთი მხრივ, მითითებულია, რომ ლიფტების შეკეთებისთვის თბილისის 2013 წლის ბიუჯეტიდან, 30 სექტემბრის მდგომარეობით, სულ 674,1 ლარი დაიხარჯა, მეორე მხრივ კი დედაქალაქის მერია „ლიფტების საქმესთან“ რაიმე სხვა სახის კავშირს უარყოფს, რაც კიდევ ერთხელ აჩენს კითხვებს და მიუთითებს დაინტერესებაზე, რა დროსაც თბილისის მერია მიზანმიმართულად ჩქმალავს და ბუდნოვანს ხდის მუნიციპალური საკითხის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებულ მანიპულაციებს და მიღებულ სიკეთეს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, უკვე რამდენიმე თვეა ვეხმაურებით თბილისის მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც მაღალსართულიან ბინებში ექსპლუატაციიდან გამოსული ლიფტების ბიზნესს უკავშირდება. ორგანიზაცია სამართლიანს უწოდებს მოსახლეობის პროტესტს, რა დროსაც, თბილისის მთავრობა ავარიული და ტექნიკურად გაუმართავი ლიფტებს შეკეთებისთვის/ექსპლუატაციისთვის უყურადღებობას იჩენს, მეორე მხრივ კი სფეროზე პასუხისმგებელ კომპანიებთან საეჭვო კორუფციულ გარიგებებში იმყოფება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ დედაქალაქის თვითმმართველობას პრობლემის გადაჭრის ერთ—ერთ გზასაც სთავაზობს და გამოდის ინიციატივით, რათა თბილისში, ევროპული გამოცდილების მსგავსად, შემოღებულ იქნეს ლიფტებით მომსახურების სრულიად ახალი სისტემა. კერძოდ, მოსახლეობას საშუალება მიეცეს მგზავრობისას ლიფტით მომსახურების საფასური გადაიხადოს მეტრომანის ბარათებით. მსგავსი სისტემა უფრო მოსახერხებელი იქნება მოქალაქეებისთვის და ხელს შეუწყობს გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას.

22 ოქტომბრის ბრიფინგი

მთავრობის პროგრამა საქმიანი დოკუმენტია, რომლის ცენტრალური მონაწილე საზოგადოებაა

„ახალაგზრდა ადვოკატები“ ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების უფლებების განმტკიცების მიმართულებით ორიენტირებულს უწოდებს საქართველოს მთავრობის პროგრამას და მიიჩნევს, რომ დოკუმენტი პასუხობს საქართველოს მოსახლეობის ინტერესებსა და მისაწრაფებებს, ქვეყნის წინაშე არსებულ სადღეისო გამოწვევებსა და იძლევა პრობლემებთან გამკლავების საშუალებას. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის იურისტმა, ლევან ბერაძემ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს მთავრობის პროგრამაში, სამი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნება იკითხება, რომელიც წინა მმართველობის პერიოდში, მთლიანად იგნორირებული იყო. კერძოდ, მისასალმებელია განახლებული მთავრობის დაპირება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, რეფორმების განხორციელებაში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა და მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ხელშეწყობა. ასეთი მიდგომები შესაძლებელს ხდის მთავრობამ ეფექტური მმართველობა განახორციელოს და ხელისუფლების მთავარი წყარო — ხალხი რეალურად დაბრუნდეს პოლიტიკაში. ორგანიზაციის პოზიციით, ახალ მთავრობას ფუნდამენტურად სწორი ხედვა გააჩნია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მართლმსაჯულების რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი საჯარო მმართველობის სისტემა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ახალი პრემიერ—მინისტრისა და განახლებული მთავრობის მცდელობები, ქვეყანაში განმტკიცდეს დემოკრატია და ადამიანის უფლებები, არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო ჩართულობის ფონზე განხორციელდება. ამ მიმართულებით, მთავრობა ყურადღებას დაუთმოს გადაწყვეტილებების მიღების დროს ახალგაზრდების ხედვებსა და ჩართულობას. ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს, სახელმწიფომ მეტი გააკეთოს ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპების განხორციელებისთვის, რომელიც ერთ—ერთი გამოკვეთილი ნიშანი — თანამონაწილეობას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ვფიქრობთ, რომ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა უფრო აქტიური გახდება. ორგანიზაცია, 2013 წლის აგვისტოდან ანხორციელებს პროექტს: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისფლებასთან“, რომლის ფარგლებშიც, უკვე არაერთი შეხვედრა შედგა სამინისტროების პირველ პირებთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავრობის მომავალ საქმიანობას ოპტიმისტურად აფასებს და ამასთან, ხაზს უსვამს ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებებს, ქვეყნისთვის ისტორიულ მომენტში მიღებული გადაწყვეტილებებისთვის. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის გადასვლა სამოქალაქო სექტორში კიდევ უფრო მეტად ზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას, როგორც მთავრობის კონტროლის, ასევე ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებისათვის. ამასთან, ორგანიზაცია მიესალმება ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ სამოქალაქო კამპანიას: „მე ვამბობ მადლობას“, რომელიც საზოგადოების მადლიერების საუკეთესო გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ინიციატივა

"ახალგაზრდა ადვოკატები". მთავრობას. ახალგაზრდების დასაქმებისთვის ერთიანი საკანონმდებლო ცვლილებების წინადადებით მიმართავს

მოკლედ

- ორგანიზაციამ ნოემბრის თვეში 7 ბრიფინგი გამართა, ხოლო სხვადასხვა უწყებისა და უფლებამოსილი პირის მიმართ, მომზადდა და გაიგზავნა 43 წერილი.
- ორგანიზაცია სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმირების ჯგუფის წევრი გახდა.
- ორგანიზაციამ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, პროექტის „ადგილობრივი ლიდერების“ პრეზენტაცია გამართა და სამუშაო შეხვედრები გამართა.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით, ორგანიზაცია თავმჯდომარეობის კანდიდატ ზაზა ხატიაშვილს შეხვდა და ასოციაციაში ახალგაზრდა ადვოკატების უფლებების დაცვის დროებითი კომისიის შექმნა შესთავაზა.
- ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტში, თემაზე: „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“ კვლევის პრეზენტაცია გამართა.
- ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კოლეგა ორგანიზაციების მიერ გამართულ კონფერენციებსა თუ მრგვალ მაგიდებში.
- ორგანიზაციამ ახალგაზრდების დასაქმების შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების ინიციატივა მოამზადა და საქართველოს პარლამენტსა და მტავრობას სარეკომენდაციო პაკეტი შესთავაზა.
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ნოემბრის თვის განმავლობაში მოქალაქეებს 9 იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს.
- ორგანიზაციამ ანტიმონოპოლიურ რეგულაციებთან დაკავშირებით, მთავრობის ინიციატივას მიესალმება.
- „ახალგაზრდა ადვოკატები“ შეწყალების ინსტიტუტის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით გამოვიდა და პრეზიდენტს/პარლამენტს სარეკომენდაციო პაკეტი შესთავაზა
- ორგანიზაციამ თბილისის მერიას ლიფტების მგზავრობისთვის საბარათე სისტემის შემოღების ინიციატივით მიმართა
- ორგანიზაიცამ თემაზე „სამედიცინო მედიაციის კომპეტენციის ფარლები საქართველოში“ კონფერენცია გამართა.

მილოცვა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრეზიდენტსა და პრემიერს უფლებამოსილებების დაწყება მიულოცეს

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და საქართველოს პრემიერ—მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ღია წერილით მიმართეს და თანამდებობებზე უფლებამოსილების დაწყება მიულოცეს. ორგანიზაციამ, მისალოცი წერილი პრეზიდენტსა და პრემიერს 20 ნოემბერს გაუგზავნეს.

ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნა: „გვჯერა, თქვენი მოღვაწეობის ვადაში, საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ევროპულ ოჯახში, გახდება სამაგალითო ქვეყანა კანონის უზენაესობის დაცვისა და განმტკიცების მიმართულებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები იქნება თქვენი საქმიანობის მთავარი გამორჩეული ნიშანი და შეძლებთ საქართველოს ინტერესების, საქართველოს საზოგადოების მისწრაფებები დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბებისთვის, რეალობად აქციოთ.“ — ნათქვამია წერილში.

მიმართვაში ნათქვამია, რომ „ახალგაზრდა ადვოკატები“ იმედს გამოვთქვამთ, ნაყოფიერი თანამშრომლობა გვექნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. „თქვენი სურვილი, სარბიელზე მოვიდნენ ღირსეული ახალგაზრდობა, ერთად შევქმნათ წარმატებული სახელმწიფო, განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ტოვებს ჩვენი თაობისთვის, რადგანაც ინიციატივებს, ხედვებსა და შეხედულებებს ჰქონდეს შესაბამისი ყურადღება და სათანადო დამოკიდებულება.“ — ნათქვამია განცხადებაში.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს პრემიერის ადმინისტრაციასთან შემდგომი თანამშრომლობისთვისაც. „გვაქვს პატივი მოგილოცოთ საქართველოს პრემიერ—მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცება, გამოცხადებული ნდობა, რომელიც თქვენი სახით, საქართველოს მომავლისთვის, განსაკუთრებულ მისიას და ფუნქციას გულისხმობს. მიგვაჩნია, რომ საქართველოს, ამ საპასუხისმგებლო და ისტორიულ მომენტში, თქვენი სახით, გამორჩეული ლიდერი და თვალსაჩინო მოღვაწე ჰყავს, რადგანაც თქვენმა ხანმოკლე პოლიტიკურმა საქმიანობამ აჩვენა, რომ პოლიტიკა შეიძლება იყოს ზნეობრივი, პრინციპებზე, ღირებულებებზე, სიმართლეზე და ღირსებაზე დაფუძნებული. გვჯერა, თქვენი შემდგომი გადაწყვეტილებებიც მაღალი პასუხისმგებლობით და საზოგადოების ინტერესების დაცვით იქნება მიღებული. თქვენი პოლიტიკა იქნება საეტაპო საქართველოსთვის, რომელიც ქვეყანას გაიყვანს სამშვიდობოზე, მოიტანს რეალურ დემოკრატიულ მმართველობას, განამტკიცებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, შექმნის შესაძლებლობებს ქვეყნის გამთლიანებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, უზრუნველყოფს ახალაგზრდების ჩართულობასა და

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS
ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო პრემიერო,

უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები", გვაქვს პატივი მოგილოცოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცება, გამოცხადებული ნდობა, რომელიც თქვენი სახით, საქართველოს მომავლისთვის, განსაკუთრებულ მისიას და ფუნქციას გულისხმობს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს, ამ საპასუხისმგებლო და ისტორიულ მომენტში, თქვენი სახით, გამორჩეული ლიდერი და თვალსაჩინო მოღვაწე ჰყავს, რადგანაც თქვენმა ხანმოკლე პოლიტიკურმა საქმიანობამ აჩვენა, რომ პოლიტიკა შეიძლება იყოს ზნეობრივი, პრინციპებზე, ღირებულებებზე, სიმართლეზე და ღირსებაზე დაფუძნებული.

გვჯერა, თქვენი შემდგომი გადაწყვეტილებებიც მაღალი პასუხისმგებლობით და საზოგადოების ინტერესების დაცვით იქნება მიღებული. თქვენი პოლიტიკა იქნება საეტაპო საქართველოსთვის, რომელიც ქვეყანას გაიყვანს სამშვიდობოზე, მოიტანს რეალურ დემოკრატიულ მმართველობას, განამტკიცებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, შექმნის შესაძლებლობებს ქვეყნის გამთლიანებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართულობასა და თანამონაწილეობის როლის გაზრდას დემოკრატიულ ცხოვრებაში.

„ახალგაზრდა ადვოკატები" იმედს გამოთქვამს, რომ ნაყოფიერი თანამშრომლობა გვექნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციასთან.

გისურვებთ წარმატებულ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების"
სადამფუძნებლო საბჭო

20 ნოემბერი, 2013 წ
ქ. თბილისი

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

თანამონაწილეობის როლის გაზრდას დემოკრატიულ ცხოვრებაში.“ — აღნიშნავს ორგანიზაცია მიმართვაში.

15 ნოემბრის ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გათავისუფლებულ მზარეულს უფლებების დასცვას სთავაზობს

ორგანიზაცია “ახალგაზრდა ადვოკატები“ ოსიაურის საწვრთნელი ბანაკიდან გათავისუფლებულ მზარეულს უფლებების დასცვას სთავაზობს და მიუთითებს, რომ სამხედრო სფეროში, ლოჯისტიკის მიმარულებით არსებული პრობლემები, ბოლო სამი თვის მანძილზე სხვადასხვა საჯარისო ნაწილებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები, მხოლოდ ჰიგიენური ნორმების დაუცველობის დაუსაბუთებლობით არ უნდა მივიღოთ, რადგანაც პრობლემას გააჩნია სამართლებრივი და სისტემური ხარვეზების სახე.

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთ—ერთმა ხელმძღვანელმა, „რეპორტიორის“ პრეს—კლუბში 2013 წლის 15 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას, ოსიაურის საწვრთნელი ბანაკიდან დათხოვნილი მზარეულის უფლებები კანონმდებლობით დადგენილი ყველა ფორმით დაიცვას. არჩილ კაიკაციშვილის თქმით, არსებობს პრეზუმცია ნებისმიერი ქმედების მიმართ, ვიდრე რომელიმე ბრალეული ქმედება არ დადასტურდება სასამართლო გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ცალსახად მზარეულის დადანაშაულება ჯარისკაცების მოწამვლის საქმეში, ვიდრე არ იქნება ფაქტები და გარემოებები შესწავლილი და დასაბუთებული, საზოგადოებას სინამდვილის დადგენაში ვერ დაეხმარება. „შესაძლებელია, მზარეულმა მართლაც დაუშვა შეცდომები. შესაძლებელია, მზარეული მხოლოდ დაბალი რგოლი იყოს, ვისზეც სურთ პასუხისმგებლობის გადაკისრება. სინამდვილეში, რა მოხდა, უნდა დაიწყოს გამოძიება და გვეცნობოს უტყუარი მტკიცებულებები. ცალსახად, ლინჩის წესით მზარეულის გასამართლება, ყველაფერში მის ბრალეულ ქმედებაზე მითითება, ისე, რომ არავინ იცის რა მოხდა, სარწმუნო არ არის“ — განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

“ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთ—ერთი ხელმძღვანელის შეფასებით, ყველაფრის მიუხედავად, არსებული ვითარება შემდეგნაირად უნდა შეფასდეს: თავდაცვის სამინისტრომ მომხდარზე აილო პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მიუთითა, რომ შესაძლებელია, „ქართული კვების კომპანიასთან“ გაწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო შპს „ქართული კვების კომპანიამ“, თუნდაც მზარეულის დათხოვნით მიღებული გადაწყვეტილებით აღიარა ის შეცდომა, რომელიც არსებობდა მენეჯმენტში და რომელიც ვერ შეცვლილმა ახალმა მენეჯმენტმა მოაგვარა. „როგორც სამინისტრომ, ასევე კომპანიამ მიღებული გადაწყვეტილებებით მიუთითა, რომ თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებობს სისტემური და სამართლებრივი პრობლემები“— განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

არჩილ კაიკაციშვილის აზრით, საქართველოს მთავარ პროკურატურასი უნდა დაჩქარდეს გამოძიება და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ცნობილი გახდეს სხვადასხვა დროს ჯარისკაცების მოწავლის ფაქტებზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაცია. „თავდაცვის სამინისტრომ განმარტოს, ისევ ადევს თუ არა ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს გრიფით საიდუმლო?! რამდენად მოხდა პრემიერის მოთხოვნის გათვალისწინება?“ — განაცახდა არჩილ კაიკაციშვილმა.

“ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, „ქართული კვების კომპანიამ“ არასამთავრობო სექტორთან დიალოგი ტყუილით დაიწყო, როდესაც ორგანიზაციის კითხვაზე: მოხდა თუ არა სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მოწამვლა, უპასუხა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი

არ ჰქონია. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, არასამტავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ, ორგანიზაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან მიიღო წერილი, რომელიც სენაკის სამხედრო ბაზაზე მოწამვლის ფაქტს ადასტურებდა, რაც, მესამე სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, დიდი ალბათობით, „ქართული კვების კომპანიას“ უნდა სცოდნოდა და არ გაახმაურა.

სანქციები დანის ტარებისთვის, რომელსაც „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიესალმება

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ცივი იარაღის ტარების რეგულაციებთან დაკავშირებით შსს კანონპროექტს ემხრობა. ორგანიზაცია დადებითად აფასებს და მიესალმება აღნიშნულ კანონპროექტის მომზადებას, რადგანაც მიაჩნია, რომ ახალი რეგულაცია მოახდენს ცივი იარაღით ჩადენილი დანაშალუულის თავიდან აცილებას და პრევენციას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს უნდა დაემატოს 181 პრიმა მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ქუჩებში, ეზოებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კინო/თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, კაფეებში, რესტორნებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტო და რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, ცივი იარაღის ტარება გამოიწვევს პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღე-ღამის ვადით.

კანონპროექტის მიხედვით, ეს მუხლის არ გავრცელდება ნასამართლეობის მქონე ან ნარკოტიკების მოხმარებისთვის სახდელდადებულ პირზე, რომელიც ცივი იარაღის ტარებისთვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის საფუძველზე. ასევე, პირებზე, რომლებიც ცივ იარაღს ატარებენ: პირადი ჰიგიენის მოწესრიგების მიზნით, საკვების მომზადების ან/და მიღების მიზანით, პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ნადირობის, თევზაობის ან/და მცენარეული პროდუქტის შემგროვებლობის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო ან/და მესაქონლების მიზნით, ნაციონალური სამოსელის ტარების დროს, როდესაც ცივი იარაღი (ხანჯალი, ხმალი) სამოსელის ნაწილია. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცივი იარაღის ტარება შედეგად იწვევს საჯარო წესრიგის დარღვევას ან ქმნის ამგვარის აშკარა საფრთხეს.

კანონპროეტით მკაცრდება სანქციები ცივი იარაღის ტარებაზე, შეგახსენებთ, რომ დღეს მოქმედი კანონით, სისხლის სამართლებრივი სანქცია ეკისრება მხოლოდ - 21 წლამდე ასაკის, ნასამართლეობის მქონე და ნარკოტიკების მოხმარებისათვის სახდელდაკისრებულ პირებს. ახალი კანონპროექტით კი ცივი იარაღის ტარებისთვის დაისჯება ნებისმიერი მოქალაქე, არა მხოლოდ 21 წლის ასაკს მიუღწეველი, არამედ 21 წელზე მეტი ასაკის მქონე პირი.

Info9.ge

28 ოქტომბრის ბრიფინგი

მთავრობა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებით და ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით მონოპოლისტურ ბაზარს შლის

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონში მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ ცვლილებები და ახალი რეგულაციები ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისათვის, მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებზე მიუთითებს. ამასთან, მთავრობის გადაწყვეტილება ვილნიუსის სამიტზე საქართველომ მოახდინოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება და ქვეყანაში განახორციელოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სტანდარტების შემოღება, მიუთითებს შესაძლებლობებზე, რა დროსაც, ქართული ბაზარი უნდა გათავისუფლდეს არსებული მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიებისაგან. ამის შესახებ 2013 წლის 28 ნოემბერს „რეპორტიორის“ პრეს—კლუბში, ორგანიზაციის იურისტმა, ნინო ისაკაძემ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მომზადებული კანონპროექტის ღირსებას წარმოადგენს ის გარემოებები, რომ მოქმედი კონკურენციის სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, თუმცა მას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საკუთარი შემოსავლებიც ექნება. სააგენტო ანგარიშვალდებულია პრემიერისა და პარლამენტის წინაშე. ყოველი წლის 1 მაისს, სააგენტო მოამზადებს და პარლამენტს, პრემიერ-მინისტრსა და საზოგადოებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობისა და საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს მდგომარეობის შესახებ, რაც იძლევა პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ სააგენტომ ახალი უფლებამოსილებების ფარგლებში, განახორციელოს ეფექტური მმართველობა. ამასთან, ახალი კანონის ეფექტურობისათის მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის საქმიანობაშიც, ვერც ხელისუფლება და ვერც ბიზნესი ვერ ჩაერევა.

ნინო ისაკაძის განცხადებით, საერთაშორისო პრაქტიკა კონკურენციას განიხილავს, როგორც ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მნიშვნელოვან ფაქტორს. საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით და კონვენციებით უზრუნველყოფილია საქართველოში თავისუფალი ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ, ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 43 და 44 მუხლების თანახმად, საქართველო უნდა ეცადოს, ეტაპობრივად ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეს დაუახლოვოს, ვინაიდან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შესაბამისი სამსახურის ფუნქციონირება ევროკავშირის უმთავრესი პირობაა, რომელსაც ის საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების გამარტივების წინაპირობად აყენებს.

ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს რეალობით, დღეს სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზირებულია მაღალი კონტროლირებადი ფასებით ერთი ან ერთმანეთთან მორიგებული რამდენიმე კომპანიის მიერ. ფაქტობრივად, არ არსებობს ან შეზღუდულია თავისუფალი საბაზრო კონკურენცია. ყველა იმ საქონელს, რომელსაც თითქმის ყოველდღიურად მოვიხმართ ერთი და იგივე ფასი აქვს და თანაც ძალიან მაღალი. მონოპოლიური ფასები არის ნავთობპროდუქტების ბაზარზე, საკვებ პროდუქტებზე, ფარმაცევპულ ბაბარზე, სარეკლამო და საბანკო სფეროში, რკინიგზაზე, ელექტრომომარაგებაში, წყალმომარაგებაში, კავშირგაბმულობაში, შემოთავაზებული არის ერთნაირი ფასები და ხარისხი, რითაც იზღუდება მომხმარებლების ინტერესები. ასევე გადასახედია ფასების მიბმა მსოფლიო ბირჟებზე.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი, ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებაა. ორგანიზაცია, პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში, კიდევ ერთხელ გამოთქვამს მზადყოფნას, საქართველოს მთავრობასთან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიმართულებით მჭიდრო თანამშრომლობისათვის. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის 12 ოქტომბერს საკითხს სპეციალური კონფერენციაც ,,ევროკავშირის სტანდარტები, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“ მიუძღვნა.

შეხვედრა

„ახალგზარდა ადვოკატებმა“ ზაზა ხატიაშვილს ასოციაციაში ახალგაზრდა ადვოკატების უფლებების დაცვის დროებითი კომისიის შექმნა შესთავაზეს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო პროგრამების გაცნობის მიზნით, კანდიდატებთან შეხვედრებს იწყებს. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ორგანიზაციამ პირველი ასეთი შეხვედრა მოქმედ თავმჯდომარესა და იმავდროულად, თავმჯდომარეობის კანდიდატთან, ზაზა ხატიაშვილთან გამართეს. შეხვედრას ორგანიზაციის სამუშაო გუნდის მთლიანი შემადგენლობა და წევრი ადვოკატები ესწრებოდნენ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ მომზადებულ შეხვედრაზე ასოციაციის თავმჯდომარემ განვლილი 4-წლიანი საქმიანობა შეაფასა და სამომავლო პრიორიტეტები წარმოადგინა. ზაზა ხატიაშვილის შეფასებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2008—2012 წლებში, მძიმე პერიოდი განვლო და მოახერხა ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბებულიყო, თუმცა მოქმედი თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ადვოკატთა კორპუსის მიმართ მთავრობას სხვა ჩანაფიქრიც ჰქონდეს და ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატთა შორის დასახელდეს პიროვნება, რომელსაც ხელისუფლების მხარდაჭერა ექნება. ზაზა ხატიაშვილი ადვოკატთა კორპუსს განვლილი საქმიანობის შეფასებისას სწორი არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს და მიუთითებს, რომ ასოციაციას საეტაპო პერიოდი უდგას, რა დროსაც უნდა გადაწყდეს — რამდენად თანასწორუფლებიანი გახდება ადვოკატთა კორპუსი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და რამდენად იქნება შენარჩუნებული ადვოკატის პროფესიაში დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ზაზა ხატიაშვილს ახალი ინიციატივა შესთავაზეს. კერძოდ, ორგანიზაცია გამოვიდა წინადადებით, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში შეიქმნას ახალგაზრდა ადვოკატების უფლებების დაცვის დროებითი კომისია, რომელიც იტვირთებდა უფლებამოსილებას ასოციაციის საქმიანობაში, ასაკით ახალგაზრდა ადვოკატების მეტი ჩართულობისა და თანამონაწილეობისათვის. კომისია მოახდენდა ახალგაზრდა ადვოკატების მიერ წარმოდგენილი საჩვრებისა თუ განცხადებების ეფექტურ განხილვას. მისი კომპეტენციის ფარგლებში, შექმნიდა ისეთ სისტემას, რომელიც ახალგაზრდა ადვოკატების პროფესიულ განვითარებას და საერთაშორისო კონტაქტებს უზრუნველყოფდა. ორგანიზაციის ინიციატივას, ზაზა ხატიაშვილმა მხარდაწერა გამოუცხადა და დასძინა, რომ მისი თავმჯდომარედ გახდომის მომენტიდან, ახალაგზრდა ადვოკატების წინაშე არსებული საკითხები ერთ—ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის თანამდებობაზე, ჯერ—ჯერობით, ღია მხარდაჭერას არც ერთი კანდიდატის მიმართ არ გამოხატავს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით, ისინი გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებენ, რაც კანდიდატებს შეხვდებიან და მათ პროგრამებს შეფასებენ.

ცნობისთვის: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ახალ თავმჯდომარეს, აგრეთვე აღმასრულებელ საბჭოს, ეთიკისა და სარევიზიო კომისიებს 2013 წლის 8 დეკემბერს, საერთო კრებაზე აირჩევს.

7 ოქტომბრის განცხადება

პროკურატურას, ერთი წლის მანძილზე, 48662 მოქალაქემ მიმართა, რაც 2011-2012 წლების სტატისტიკით, გაორმაგებულია

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავარ პროკურატურაში ცვლილებებს ეხმაურება და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ახალი პრემიერ—მინისტრის მიერ დანიშნული ახალი მთავარი პროკურორი გააგრძელებს სისტემის რეფორმირებას, მეორე მხრივ კი ეფექტური გადაწყვეტილებებით, ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის 14 სექტემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და განხორციელებული საქმიანობის სტატისტიკა მოითხოვა. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა შემდეგი საკითხები:

• საქართველოს რამდენი მოქალაქის განცხადება იქნა დარეგისტრირებული საქართელოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით?

• საქართველოს რამდენი მოქალაქის განცხადება იყო დარეგისტრირებული საქართელოს მთავარ პროკურატურაში 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით?

• უცხო ქვეყნის (რომელი ქვეყნის) რამდენი მოქალაქის განცხადება იქნა დარეგისტრირებული საქართელოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით?

• უცხო ქვეყნის (რომელი ქვეყნის) რამდენი მოქალაქის განცხადება იქნა დარეგისტრირებული საქართელოს მთავარ პროკურატურაში 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით?

• საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით შემოსული რამდენი განცხადება განიხილა?

• საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით შემოსული და განიხილული რამდენი განცხადება დააკმაყოფილა?

• საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით შემოსული რამდენი განცხადებაა განხილვის პროცესში?

• საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი პროკურორს შეუწყდა უფლებამოსილება?

• საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი ახალი პროკურორი დაინიშნა?საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით შემოსული განცხადებების გეოგრაფიული მაჩვენებლის შესახებ?

„ახალგაზრდა ადვოკატებს“, 2013 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დასმულ საკითხებზე შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია მიაწოდა:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოს ელექტრონული პროგრამის მონაცემების თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, დარეგისტრირებულია 48662 წერილი, ხოლო 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით - 20739 წერილი. ასევე გაცნობებთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილია 92 მუშაკი, მათ შორის: 58 პროკურორი, 6 გამომძიებელი და 28 სხვა მუშაკი. მითითებულ პერიოდში დაინიშნა 322 მუშაკი, მათ შორის: 151 პროკურორი, 49 გამომძიებელი, 49 სტაჟორი და 73 სხვა მუშაკი.

საქართველოს პროკურატურამ, პროგრამული ხარვეზის გამო, ორგანიზაციის მოთხოვნას, უცხო ქვეყნის რამდენი მოქალაქის განცხადება იქნა დარეგისტრირებული პროკურატურაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით და როგორია სტატისტიკა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით შემოსული განცხადებების გეოგრაფიული მაჩვენებლის შესახებ, უარით უპასუხა.

10 ოქტომბრის ბრიფინგი

"ახალგაზრდა ადვოკატები" თბილისის მერიას ლიფტებით მგზავრობისას საბარათე სისტემის შემოღებას სთავაზობს

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, თბილისის მერია, იმ საეჭვო კორუფციულ სქემას, რომელიც დაკავშირებულია დედაქალაქის მაღალსართულიანი კორპუსებში ლიფტების მომსახურებიდან შემოსული თანხების გამჭვირვალობასთან, პასუხისმგებლობას მთლიანად იხსნის და დედაქალაქის მოსახლეობის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პრობლემის მოგვარებაში პასუხსიმგებელ პირად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს ასახელებს. ორგანიზაციამ თბილისის მერიიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, რომლის თანახმადაც, თბილისის მერია პასუხისმგებლობას ირიდებს და მწყობრიდან გამოსული ლიფტების აღდგენას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს აკისრებს. წერილში, ერთი მხრივ, მითითებულია, რომ ლიფტების შეკეთებისთვის თბილისის 2013 წლის ბიუჯეტიდან, 30 სექტემბრის მდგომარეობით, სულ 674,1 ლარი დაიხარჯა, მეორე მხრივ კი დედაქალაქის მერია „ლიფტების საქმესთან“ რაიმე სხვა სახის კავშირს უარყოფს, რაც კიდევ ერთხელ აჩენს კითხვებს და მიუთითებს დაინტერესებაზე, რა დროსაც თბილისის მერია მიზანმიმართულად ჩქმალავს და ბუდნოვანს ხდის მუნიციპალური საკითხის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებულ მანიპულაციებს და მიღებულ სიკეთეს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, უკვე რამდენიმე თვეა ვეხმაურებით თბილისის მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც მაღალსართულიან ბინებში ექსპლუატაციიდან გამოსული ლიფტების ბიზნესს უკავშირდება. ორგანიზაცია სამართლიანს უწოდებს მოსახლეობის პროტესტს, რა დროსაც, თბილისის მთავრობა ავარიული და ტექნიკურად გაუმართავი ლიფტებს შეკეთებისთვის/ექსპლუატაციისთვის უყურადღებობას იჩენს, მეორე მხრივ კი სფეროზე პასუხისმგებელ კომპანიებთან საეჭვო კორუფციულ გარიგებებში იმყოფება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, კომპანიები, რომლეთა ვალდებულებაცაა მაღალსართულიან ბინებში ლიფტების გამართული მუშაობა უზრუნველყოს, ფაქტობრივად, უმოქმედონი არიან. კერძოდ, უცვლელია შესწავლილი საკითხების ჩამონათვალი:

• აღნიშნული კომპანიები, პრაქტიკულად უმოქმედო ლიფტებით ხალხს ძარცვავენ, რადგან მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს ე.წ. „ჩაყლაპულ“ 5 და 10 თეთრებზე;

• ლიფტით სარგებლობა, ხშირ შემთხვევაში, ერთ მოქალაქეს, 20-30 თეთრი უჯდება, რაც 2-3 სულიანი ოჯახისათვის, თვეში 25-30 ლარს შეადგენს;

• ხშირია მგზავრობის დროს, ლიფტების ავარიული გაჩერება, სამაშველო სამსახურის გამოძახება. ავარიულ მდგომარეობაში არსებული ლიფტები, საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ხოლო უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ლიფტების მუშაობაზე პასუხისმგებელ კომპანიას სანქცია არ ეკისრება;

• არ ხდება ლიფტების გამართულ მუშაობაზე პასუხისმეგებელ კომპანიებზე ნებართვების ან ლიცენზიების გაცემა, რითაც თბილისის მერია სრულ ლოიალობას გამოხატავს პრობლემის მიმართ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევს, რომ მაღალსართულიან ბინებში ლიფტების გამართულობაზე პასუხისმგებელი კომპანიები თბილისის მერიასთან დაახლოებული ჯგუფების ხელშია და „ლიფტების საქმიდან“ შემოსული ფინანსების გამჭვირვალობა და ხარჯვითი ნაწილი, კორუფციულ ნიშნებს ატარებს. ორგანიზაცია, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითაც, საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ აღნიშნული კომპანიები დღემდე მოქმდებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თუ მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების ინტერესებით და ახალი ხელისუფლების პირობებში მწვავედ დასმული ეს საყოფაცხოვრებო პრობლემა, ხელოვნურად და მიზანმიმართულად დაგეგმილი ქმედება იყოს.

კომპანიები აგრძელებენ ხალხის ძართვას და შესაძლოა, ლიფტებიდან მიღებულ შემოსავალს პოლიტიკურ ინტერესებსაც ამარდნენ. ამასთან, არ გამოვრიცხავთ ადგილი ქონდეს კომპანიების მხრიდან გადასახადებისგან თავის არიდებასაც, რადგან არანაირი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, თუ რა შემოსავლებს ფლობს ეს კომპანიები. მოშლილია იმის კონტროლიც, თუ ერთი კვირის განმავლობაში, რამდენჯერ ივსება ლიფტის ყულაბები, რამდენია მისი შემოსავალი და ხდება თუ არა ამ შემოსავლების შესაბამისად, კომპანიების მხრიდან ბიუჯეტში გადასახადების გადახდა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, საჭიროა შემოღებულ იქნას ნებართვები ან ლიცენზიები კომპანიებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიფტების გამართულ მუშაობას. კომპანიებს უნდა მოეთხოვოთ „ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა“, რაც შეამცირებს ფატალური შედეგების ალბათობასაც.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ დედაქალაქის თვითმმართველობას პრობლემის გადაჭრის ერთ—ერთ გზასაც სთავაზობს და გამოდის ინიციატივით, რათა თბილისში, ევროპული გამოცდილების მსგავსად, შემოღებულ იქნეს ლიფტებით მომსახურების სრულიად ახალი სისტემა. კერძოდ, მოსახლეობას საშუალება მიეცეს მგზავრობისას ლიფტით მომსახურების საფასური გადაიხადოს მეტრომანის ბარათებით. მსგავსი სისტემა უფრო მოსახერხებელი იქნება მოქალაქეებისთვის და ხელს შეუწყობს გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბებას.

კვლევა

"ახალგაზრდა ადვოკატები" შეწყალების ინსტიტუტის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით გამოდის

„ახალგაზრდა ადვოკატები“ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლების — შეწყალების გამოყენების წესისა და ახლებური რეგულაციის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით გამოდის და საქართველოს პრეზიდენტს/პარლამენტს სარეკომენდაციო პაკეტს სთავაზობს. ორგანიზაციის იურისტმა, მარიამ ნეფარიძემ პირველი რადიოს რადიო-კლუბში თემაზე: „პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ასპექტები“ საკითხის ანალიზი და სარეკომენდაციო პაკეტი წარმოადგინა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავისი პრეზიდენტობის ვადაში მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკის მომხრე იყო. ამიტომაც, პრეზიდნეტის მიერ შეწყალების ფაქტები, ხშირად შერჩევითი პრინციპით და პოლიტიკური მოსაზრებებით ხდებოდა, დამკვიდრებული მავნე პრაქტიკა კი უარყოფით გავლენას ტოვებდა მართლმსაჯულების ეფექტურობასა და ავტორიტეტზე. ორგანიზაციის შეფასებით, საქმის ინდივიდუალურად შესწავლის პრინციპის უგულვებელყოფით ფართომასშტაბიანი შეწყალების განხორციელებას, შესაძლოა არასახარბიელო შედეგები მოჰყვეს. განსაკუთრებით იმის გამო, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს რესოციალიზაციის კეთილშობილური მიზნის მიღწევის (ნასამართლეობის მოხსნის) ალტერნატიულ და საზოგადოებისათვის ნაკლები ზიანის შემცველ გზას (ნასამართლეობის გაქარწყლება სასამრთლოსათვის მიმართვის გზით, რომელიც გადაწყვეტილებას ინდივიდუალობის პრინციპის დაცვით იღებს).

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოქვეყნებულ დოკუმენტში პრეზიდენტის მიერ თენგიზ გუნავასა და ბაჩო ახალაიასთან მიმართებით გამოყენებულ დისკრეციულ უფლებამოსილებასაც ეხმიანებიან და მიუთითებენ, რომ შეწყალების უფლებამოსილება, მართალია, ჰუმანური აქტია, მაგრამ არ შეიძლება თვით ჰუმანური გადაწყვეტილების უფლებამოსილებაც იყოს შეუზღუდავი. აუცილებელია, პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება გარკვეულ პრინციპებს ექვემდებარებოდეს და გარკვეულ ჩარჩოებში მოექცეს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, შეწყალების პრაქტიკა მრავლადაა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაში, თუმცა საქართველოში თვალშისაცემია შეწყალების მასშტაბურობა, რადგანაც მსოფლიოს უფრო დიდ, განვითარებულ და დასავლურ ქვეყნებში, საქართველოს მსგავსი მასშტაბის შეწყალება არ განხორციელებულა. პრეზიდენტის მიერ პირთა შეწყალების უფლება თავისი არსით ჰუმანური ნაბიჯია, თუმცა შეწყალების ერთპიროვნული და ისეთი მასშტაბური ინიციატივა, როგორიც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის მანძილზე განახორციელა, მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის აქტიურ მხარდაჭერად, წინასაარჩევნო კამპანიის ან უბრალოდ, პიარის ნაწილად უფრო უნდა განვიხილოთ, ვიდრე უბრალოდ, ჰუმანურ ნაბიჯად.

ორგანიზაციის განცხადებით, აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც — შეწყალების არსის შესაბამისობა პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ ინიციატივასთან 23 000 პირის შეწყალების თაობაზე. შეწყალება, თავისი არსით, ამნისტიისგან განსხვავებით, დამყარებული უნდა იყოს საქმის ინდივიდუალურად გადახედვაზე, 23 000 პირისთვის ნასამართლეობისა და პირობითი მსჯავრის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფაქტია, რომ ინდივიდუალურობის პრინციპი დაცული არ ყოფილა და შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება, უნდა ჩაითვალოს, რომ შეწყალების მიზნებს ეწინააღმდეგება.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიმართ სარეკომენდაციო პაკეტიც წარმოადგინა. ორგანიზაციის განცხადებით, სარეკომენდაციო წინადადებები საქართველოს პარლამენტს უკვე გადაეგზავნა, ხოლო საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, საპრეზიდენტო ფიცის დადების შემდეგ გაეცნობა.

სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის მიმართ

საქართველოს პრეზიდენტის მიმართ

1. 2013 წლის 27 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა უზრუნველყოს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის მხარდაჭერა ადამიანის ფუნდამეტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებით და ქვეყანაში შეწყალების პროცესი განახორციელოს მისი არსისა და მიზნის სრული დაცვით, საქმის ინდივიდუალურობის პრინციპის გათვალისწინებით

2. 2013 წლის 27 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნორმებისა და პრინციპების დაცვით. მნიშვნელოვანია, გატარდეს შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფა და დაიხვეწოს ქვეყანაში მოქმედი შეწყალების პროცედურა, გაკეთდეს უფრო მკაფიო განმარტებები და დათქმები, რათა საზოგადოებისთვის გამჭვირვალე გახდეს პრეზიდენტის მიერ ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები.

3. საქართველოს პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღებამდე, საქართველოს პრეზიდენტმა თავის N277 ბრძანებულებაში განახორციელოს შესატყვისი და შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც შეიზღუდება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება, შეწყალების პროცესში მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რაც არ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გათვალისწინებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.

საქართველოს პარლამენტის მიმართ

1. საქართველოს პარლამენტმა დაიწყოს მსჯელობა ახალი კანონის მისაღებად, რომელიც უზრუნველყოფს შეწყალების კონსტიტუციური ინსტიტუტის სამართლებრივი საფუძვლების მყარი გარანტიების შექმნას და მკაფიოდ წარმოადგენს იმ აკრძალვებს, შესაძლებლობებსა და საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც პრეზიდენტს შესაძლებლობა ექნება შეწყალების პროცესი გახადოს სამართლიანი და გამჭვირვალე.

2. საქართველოს პარლამენტმა შეწყალების შესახებ ახალი სამართლებრივი რეგულაციების მიზნით, კანონის მიღების პროცესში უზრუნველყოს კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების, სისხლის სამართლის სპეციალისტებისა და უფლებადამცველების ჩართულობა, რომელთა ხედვა და მოსაზრებები, საჭირო და აუცილებელია პროცესის საჯაროობისა და საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე.

3. საქართველოს პარლამენტმა შეწყალების შესახებ ახალი სამართლებრივი რეგულაციების მიზნით მუშაობა დაიწყოს გონივრულ ვადებში, ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა.

8 ოქტომბრის ბრიფინგი

ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაარღვია კონსტიტუცია და დისკრედიტაცია გაუკეთა მოქალაქეობის ინსტიტუტს



„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 8 ოქტომბერს გამოეხმაურა საქართველოს ექს—პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებებს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველებს, ორმაგი მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებას ახორციელებდა.

„მივიჩნევთ, რომ ინიციატივა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მხოლოდ პიარისთვის გამიზნული ნაბიჯია, რაც შესაძლოა მძიმე შედეგების მომტანი გახდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პრეზიდენტს მსგავსი მასშტაბური ქმედება 2004 წლიდან არასდროს განუხორციელებია“ — განაცხადა ორგანიზაციის იურისტმა, ლევან ბერაძემ.

ორგანიზაციის განცხადებით, მოქალაქეობის მინიჭების საკითხს კონსტიტუციის მე-12 და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს, რომელთა მიხედვითაც, პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება, ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს საქართველოს ინტერესებიდან. პრეზიდენტის ინიციატივით, ორმაგი მოქალაქეობა 10 სექტემბრისა და 21 ოქტომბრის ბრძანებულებებით, 2023 კაცს მიენიჭა. ამ ადამიანებიდან კი საეჭვოა ის ფაქტი, რომ ყოველ მათგანს საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდეს. ის არგუმენტი კი, რომ ამ ნაბიჯით ინვესტორების დაინტერესება გაიზრდება სუსტია, რადგან ნებისმიერ დაინტერესებულ უცხოელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია საქართელოს ტერიტორიაზე აწარმოოს ბიზნესი. ერთადერთი შეზღუდვა რაც მათ მიმართ იარსებებს არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებით შესყიდვის შეზღუდვა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, „ახალგაზრდა ადვოკატები“ მივიჩნევთ, რომ შეგნებულად ხდება მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა.

„ორგანიზაცია ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ინიციატივის განხორციელება არ არის მიზანშეწონილი და მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს არ განახორციელოს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება. პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციასა და მოქალაქეობის ინსტიტუტს და შეაჩეროს უფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც არ პასუხობს არც საზოგადოების ინტერესებს და არც კანონით დადგენილ წესებს.“ — განაცხადა ლევან ბერაძენ გამართულ ბრიფინგზე.

პროექტი

„ადგილობრივი ლიდერები“ მცხეთაში ადგილობრივ ახალგაზრდა ლიდერებს გამოავლენს

პროექტის პრეზენტაცია

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის, პროექტის: “ადგილობრივი ლიდერები“ პრეზენტაცია გამართა, რომელის პრეზენტაციას ფონდის პრეზიდენტი, ირაკლი ჟორჟოლიანი, ფონდის პრეზიდენტის მოადგილე, მურმან პატარაია და ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრენ. შეხვედრა მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 6 ნოემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს, ბატონ ბექა იორდანაშვილს შეხვდნენ. შეხვედრის დროს, განხილულ იქნა პროექტის ცალკეული მიმართულება და საჯარო სკოლებთან შეხვედრის პერიოდი. მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა „ახალგაზრდა ადვოკატებს“ პროექტის განხორციელების პროცესში მხარდაჭერა აღუთქვა.

შეხვედრა საკონკურსო კომისიასთან

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 11 ნოემბერს, პროექტის ფარგლებში შექმნილ საკონკურსო კომისიის წარმომადგენლებს შეხვდნენ და იმ კრიტერიუმებზე ჩამოყალიბდნენ, რომელიც საფუძვლად დაედო კონკურსში თემების წარმოდგენას. საკონკურსო შემადგენლობაში შევიდნენ: ოლგა სპირანდი - წარმომადგენელი რეინტეგრაციის სამინისტროდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთი ავტონომიური ოლქის საკითხთა სამმართველოს მთავარი მრჩეველი; ელენე გოცაძე - წარმომადგენელი ევროინტეგრაციის სამინისტროდან, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი და ბექა ბენდელიანი - წარმომადგენელი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, ახალგაზრდობის დეპარტამენტის წევრი.

შეხვედრა მცხეთაში 28 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელთან

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლის 14 ნოემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ და პროექტ: „ადგილობრივი ლიდერებში“ მონაწილეობის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდეს.

რას გულისხმობს პროექტი?

როგორც მოსწავლეებთან შეხვედრაზე, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პროექტის მიზანია, ფართო დიალოგის წარმოება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან, მათთვის სამართლებრივი ცნობიერებისა და სამოქალაქო ღირებულებების უპირატესობის დასაბუთება, განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეების გამოვლენა და საზოგადოებისთვის წარდგენა, ახალგაზრდების დაინტერესება დემოკრატიულ პროცესებში თანამონაწილოებისთვის. ამ მიზნით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ გამოცხადებულ კონკურსში და წარმოადგენენ ანალიტიკურ სტატიებს თემებზე: „საქართველოს ევროპული არჩევანი — შესაძლებლობების ანალიზი“; „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა — პერსპექტივები და მომავალი“ და „სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“, რომლებსაც შეაფასებს პროექტის საკონკურსო კომისია.

საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პროექტი უზრუნველყოფს გამარჯვებული და წარმატებული სტატიების გამოვლენას და ფართო საზოგადოებაში ავტორების გაცნობას. მასში მონაწილეობას მიიღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის 28 საჯარო სკოლის მე—12 კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ექნებათ საშუალება, დამოუკიდებლად აირჩიონ შეთავაზებული სამი საკითხიდან რომელიმე ერთი, კონკურსის პირობების შესაბამისად, წარმოადგინოს ანალიტიკური ნაშლომი, ხოლო საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს თითოეულ საკითხზე სამი გამარჯვებული ნაშრომის გამოვლენას. პროექტი გამოავლენს პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ საუკეთესო ავტორებს, ხოლო თემები, რომლებიც დაიმსაუხრებენ წარმატებული ნაშრომის სტატუსს, გამარჯვებულ სტატიებთან ერთად, დაიბეჭდება პროექტის ფარგლებში მომზადებულ კრებულში. პროექტს დაასრულებს კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას საკონკურსო თემის შესაბამისი ექსპერტები მიიღებენ, მოხდება კრებულის პრეზენტაცია და გამარჯვებული/წარმატებული სტატიების ავტორთა დაჯილდოვება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე გამოცხადებული კონკურსი ერთი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, იქნება პირველი შემთხვევა, რომელიც დაინტერესებას გამოიწვევს ყველა სხვა მუნიციპალიტეტის ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მოსწავლეებში. ახალი სახეების წარმოჩენა და მათი საინტერესო ხედვების სამზეოზე გამოტანა შესაძლებლობას გააჩენს ინიციატივა გახდეს მუდმივმოქმედი და მიეცეს ტრადიციული სახე. პროექტის ცენტრალური ხაზი — მოზარდების/მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო განათლებიდან უმაღლესი განათლების გზაზე, იქნება რეალურად უზრუნველყოფლი და წარმოჩენილი, რაც უკვე პირველკურსელობისა და სტუდენტობის ეტაპზე, ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, უფრო მეტი ინტერესით მოეკიდნონ საუნივერსიტეტო განათლების მიღებას, საუნივერსიტეტო შესაძლებლობებში ჩაბმვას და პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწალეებისთვის 28 ოქტომბრიდან დაიწყო და 15 დეკემბერს დასრულდება. ორგანიზაცია მიუთითებს, რომ კონკურსი დაადგენსს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მოტივაციას და მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ახალგაზრდებში ინტერესის სფეროს და ხელს შეუწყობს ახალი ხედვების არსებობას, გამოავლენს საკონკურსო თემებში მსჯელობის ორიგინალურ აქცენტებს და დაადგენს ახლებურ მიდგომას, რომელიც დასმული პრობლემური თემის მიმართ იარსებებს, იდენტიფიცირებას გაუკეთებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ჩართულობის ხარისხსს პროექტის განხორციელებაში, განსახილველ თემებში გამოთქმული შეხედულებები შეთავაზებული იქნება საჯარო პოლიტიკის შემქნელი პირებისთვის, დაასაბუთებს ახალგაზრდობის ერთ—ერთ მიმართულებას - მონაწილეობას და შეადარებს ევროპულ სტანდარტს, გამოავლენს პრინციპებს, რითაც განხილულ თემებში გადაჭრის გზებია ნაჩვენები.

კვლევის პრეზენტაცია პარლამენტში

2011-2013 წლებში, საქართველოს სამინისტროებს 454 042 მოქალაქემ, ხოლო ადმინისტრაციული საჩივრით 1287 მიმართა

"ახალგაზრდა ადვოკატებმა" საქართველოს პარლამენტში კვლევის: „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში" პრეზენტაცია გამართა. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, საქართველოს მთავრობის 19 სამინისტროდან თანამშრომლობის სურვილი 18 სამინისტროს უფლებამოსილმა პირმა გამოთქვა. დაუზუსტებელი გარემოებით, ორგანიზაციის მიმართვა გამოხმაურების გარეშე დატოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

ორგანიზაცია დაინტერესდა საქართველოს მოქალაქეების საჯარო უწყებებისადმი მიმართვიანობის სტატისტიკის გამოკვლევით და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ცვლილებების პროცესში, მონიტორინგის მიზნად დაისახა:

- ყოფილი და მოქმედი მთავრობების საჯაროობის შემოწმება;
- მოქალაქეების საჯარო უწყებებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებლის დადგენა
- საჯარო უწყებების მხრიდან მოქალაქეების მიმართ ჯეროვანი კომუნიკაციის დადგენა
- ადმინისტრაციული საჩივრების მომზადებისა და განხილვის სტატისტიკა
- საჯარო უწყებების გამოვლენა, მოქალაქეებთან მათი ანგარიშვალდებულების მიხედვით

„ახალგაზრდა ადვოკატებმა", თითოეული სამინისტროსგან მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქის განცხადება დარეგისტრირდა?
2. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი რეგისტრირებულ განცხადებას უპასუხა საჯარო ადმინისტრაციულმა ორგანომ?
3. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული რამდენი განცხადებაა ამჟამად განხილვის პროცესში?
4. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი შემოვიდა? რა სტატისტიკა არსებობს მათი განხილვის დროს?
5. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქის განცხადება იყო რეგისტრირებული?
6. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თქვენმა უწყებამ რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი განიხილა?

„ახალგაზრდა ადვოკატების" მონიტორინგმა ცხადყო, რომ მოქალაქეთა მიმართვიანობა საქართველოს სამინისტროებისადმი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან - 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, შედარებით 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, გაორმაგებულია.

2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ცხრამეტივე სამინისტროს, ერთად, მოქალაქეებმა 159 009 განცხადებით/წერილით მიმართეს, ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, სამინისტროებში 295 033 განცხადება/წერილია რეგისტრირებული. მოქალაქეთა აქტიურობა ორჯერ უფრო მეტია ადმინისტრაციული საჩივრების მიხედვითაც. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სამინისტროებმა დაარეგისტრირეს 402 ადმინისტრაციული საჩივარი, ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით - 885.

„ახალგაზრდა ადვოკატების" მონიტორინგით გამოვლინდა, რომ 2011—2013 წლებში, საქართველოს მთავრობის სამინისტროებს მიმართა 454 042 მოქალაქემ, ხოლო ადმინისტრაციული საჩივრით 1287 ადამიანმა.

ორგანიზაციის მონიტორინგით, რეალობა ცხადყოფს, რომ გამოკვლეულ წლებში შეცვლილია მოსახლეობის დამოკიდებულება სამინისტროებისადმი, რაც გამოიხატება გაორმაგებული მიმართვიანობით. მოქალაქეების ასეთი აქტიურობა გამოწვეული უნდა იყოს იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებებით, რომელიც ქვეყანამ 2011—2013 წლებში განიცადა.

ყოფილი და მოქმედი მთავრობების საჯაროობის შემოწმებამ გამოკვეთა ის ტენდენცია, რომ თუკი მოქალაქეები 2012—2013 წლებში უფრო მეტად მიმართავდნენ საჯარო უწყებებს, ვიდრე 2011—2012 წლებში, მიუთითებს ინტერესების დაკმაყოფილების მოლოდინებზე ახალი ხელისუფლების პირობებში და ნდობის გაზრდას სახელმწიფო ინსტიტუციებთან ურთიერთობის დროს, რაც წარსულში, მართალია, არსებობდა, თუმცა აკლდა სიმტკიცე და მთავრობის ანგარიშვალდებულება. ამასთან, მონიტორინგმა ცხადყო, რომ სხვადასხვა პერიოდში დაწინაურებული საჯარო უწყებების მიმართ მოქალაქეების მიმართვიანობა პირდაპირ გამოკვეთს საზოგადოებაში აქტუალური სფეროების არსებობას, 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების შემდეგ კი, სამართლიანობის აღდგენის სურვილს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ამ პროცესში, მოქალაქისა და საჯარო დაწესებულების კომუნიკაცია არ დარჩეს ცალმხრივი და კანონმდებლობის დაცვით მოხდეს ყველა საჯარო ინტერესზე დროული რეაგირება.

მნიშვნელოვანია, საზოგადოება სამომავლოდაც აქტიური გახდეს საჯარო უწყებებთან კომუნიკაციის დროს, რაც ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მოქალაქე დაიჭერს ცენტრალურ ადგილს და გაზრდის მთავრობის სტრუქტურული რგოლის ანგარიშვალდებულებას დემოკრატიული მმართველობის პროცესში.

24 ნოემბრის ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები", მთავრობას, ახალგაზრდების დასაქმებისთვის ერთიანი საკანონმდებლო ცვლილებების წინადადებით მიმართავს

„ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს და გამოდის ინიციატივით, საქართველოს შრომის კოდექსში მორიგი ცვლილებების დროს, გათვალისწინებულ იქნეს ახალგაზრდების შრომითი უფლებები, ამ მიმართულებით კი სახელმწიფომ შექმნას სტუდენტთა დასაქმების ერთიანი სისტემა. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის იურისტმა, ნინო ისაკაძემ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, საქართველოს მოქმედი შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს ახალგაზრდების შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს. ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს სტუდენტთა მიერ დახარჯული ინტელექტუალური და ფიზიკური რესურსების არასათანადოდ ანაზღაურებას. ნინო ისაკაძის თქმით, დამსაქმებლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული პასუხისმგებლობა სტუდენტთა თუნდაც დროებით დასაქმებაზე. შრომის კოდექსში გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალგაზრდების სრულფასოვნად დასაქმებისა და ხელშეწყობის საკითხები. ორგანიზაციას მაგალითად ამერიკის შეერთხებულ შტატებში მოქმედი კანონმდებლობა მოჰყავს და მიუთითებს, რომ ამერიკაში საკანონმდებლო დონეზეა გათვალისწინებული სტუდენტთა სამუშაო დრო, რაც გულისხმობს, მაქსიმუმ კვირაში 15 საათს და დასაქმებული სტუდენტის ანაზღაურების მინიმუმი ზღვარი 7,25 დოლარს შეადგენს.

„ახალგაზრდა ადვოკატების" აზრით, საქართველოშიც უნდა შეიქმნას შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტური მექანიზმი. დამსაქმებლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული პასუხისმგებლობა სტუდენტთა, თუნდაც დროებით დასაქმებაზე. შრომის კოდექსმა უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდების სრულფასოვნად დასაქმებისა და ხელშეწყობის საკითხები, რადგანაც შრომით ბაზარზე, აშკარა დეფიციტს წარმოადგენს, როგორც სტუდენტების სასწავლო ინტერესთან შესაბამისობაში, ასევე ზოგადი ხასიათის ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაოები. არსებული რეალობით, არც შრომის კოდექსში და არც სხვა სამართლებრივ აქტებში, ახალგაზრდების შრომითი უფლებების დაცვა, არ არის უზრუნველყოფილი. არ არსებობს სტუდენტთა დასაქმების ერთიანი მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს სწავლის პარალელურად, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა.

,,ახალგაზრდა ადვოკატები" საკითხთან მიმართებით რამდენიმე პრობლემატურ საკითხს გამოყოფს. კერძოდ:

- მხედველობაში იღებს, შრომით ბაზარზე არსებული ნახევარგანაკვეთიანი ვაკანსიების/სამუშაო ადგილების ნაკლებობას, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში;
- მიუთითებს, რომ საქართველოში არ არსებობს სტუდენტთა დასაქმების ერთიანი სისტემა;
- მხედველობაში იღებს, რომ საქართველოს შრომის კოდექსში და სხვა საკანონმდებლო აქტებში, გათვალისწინებული არ არის სტუდენტთა შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების დაცვის გარანტიები;

,,ახალგაზრდა ადვოკატები" რეკომენდაციიც მიმართავს საქართველოს მთავრობას და საკითხის საკანონმდებლო დარეგულირებისთვის სთავაზობს ახალგაზრდების დასაქმებისთვის კომპლექსურ წინადადებებს. ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, სხვადასხვა კანონში თუ სამინისტროს მიმართ წინადადებების პაკეტს მოამზადებს.

1. სახელმწიფო სექტორში გაიზარდოს ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოების რაოდენობა;
2. დაიწყოს მსჯელობა, თუ რამდენად შესაძლებელია, სახელმწიფომ სტუდენტების დასაქმების შემთხვევაში, კერძო სექტორს შეუმციროს მოგების ან საშემოსავლო გადასახადი
3. შეიქმნას სამუშაოს მაძიებელ სტუდენტთა ცალკე ბაზა, საიდანც მოხდება სტუდენტების დასაქმება, როგორც დროებით, ასევე გრძელვადიან სამუშაო ადგილებზე.
4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტ პორტალის შექმნას, სადაც განთავსდება: ნახევარგანაკვეთიანი ვაკანსიები სტუდენტებისთვის, ანკეტა, სადაც აღწერილი იქნება სტუდენტთა განათლება, გამოცდილება და სხვა მახასიათებლები;
5. საკანონმდებლო დონეზე, დაიწყოს მსჯელობა, სტუდენტთა მიერ გაწეული შრომის საათობრივი ანაზღაურების მინიმალური ზღვარის შემოღებისა და სტუდენტის მიერ ყოველკვირეულად შესრულებული სამუშაო საათების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

6. დაიწყოს მსჯელობა, რათა უმაღლესი სასწავლებლებში შემოღებულ იქნეს კარიერის მართვის სამსახური, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც მთლიანად იქნება ორიენტირებული სტუდენტთა დასაქმების საკითხებზე, რადგანაც უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს კარიერის მართვის სამსახურების სიმცირე და მათი ნაკლებ ეფექტური მუშაობა.

შეხვედრა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კვლევის პრეზენტაციას დაესწრო

2013 წლის 30 ნოემბერს სასტუმრო Holiday Inn Tbilisi (Adjara)-ში პროექტის ''უმაღლესი განათლების პოლიტიკა - სტუდენტური ხედვა'' შეჯამება და კვლევის შედეგების, აგრეთვე, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია გაიამრთა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი - ვლადიმერ პაპავა; არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; სფეროს ექსპერტები; სტუდენტები და სხვა მოწვეული სტუმრები. შემაჯამებელი ღონისძიება „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციამ“ გამართა. შეხვედრას „ახალგაზრდა ადვოკატებიც“ ესწრებოდნენ.

 არაოფიციალური გარემო

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მეგობარ ორგანიზაციებთან არაოფიციალურ გარემოში

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ კოლეგა არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტებთან“ და „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ წარმომადგენლებთან ერთად, საერთო შეხვედრა გამართეს და ერთიან სამსახურეობრივ ოფისში თანამშრომლობის 5—თვიანი პერიოდი შეაჯამეს. ამავე შეხვედრაზე დაიგეგმა, რომ სამი ორგანიზაცია ერთობლივ საახალწლო წვეულებასაც გამართავს და ნომინანტებსა და ნომინაციებს წარმოადგენს.

ჩვენს შესახებ

„ახალგაზრდა ადვოკატები“, დაფუძნების დღიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებისთვის ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში, 2012 წლიდან წარმოადგენს ახალგაზრდული ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” სრულუფლებიან წევრს, ხოლო 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის“ წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას. ორგანიზაცია თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, მონაწილეობს საერთო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ორგანიზაციის გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ორგანიზაციაში მიმდინარე და უკვე დასრულებულ საქმიანობას წარმოადგენს:

კვლევები/მონიტორინგი

კვლევა: „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ანალიზი“, 2013

კვლევა: „ლიდერი კომპანიები ახალი შრომის კოდექსის სტანდარტების დაცვის პროცესში“, 2013

კვლევა: „„მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“, 2013

კვლევა: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013

კვლევა: „დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ“, 2013

კვლევა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013

კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ “ახალი ტალღის” ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ”, 2013

კვლევა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს”, 2013

კვლევა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013

კვლევა: „საბჭოთა და პოსტ—საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“ , 2013

კვლევა: „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012

კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012

კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

პროექტი:

„ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“, 2013 (მიმდინარე)

„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“, 2013 (მიმდინარე)

პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები — მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის“, 2013 (მიმდინარე)

სამოქალაქო ჩართულობა და ადვოკატირება

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია: „გზამკვლევი მოქალაქეებისთვის — ჩემი უფლებები“, 2013

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია: „შენ ირჩევ პრეზიდენტს — საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ საინფორმაციო გაზეთი მოსახლეობისთვის“, 2013

მრგვალი მაგიდა: „ევროკავშირის სტანდარტები, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“, 2013

მრგვალი მაგიდა: „რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოდოებას?“, 2013

„განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა სამართლებრივი დაცვა“ 2012—2013

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers”არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ახალგაზრდა ადვოკატები”

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

ორგანიზაციის გუნდი: სოფიო ლეჟავა, მარიამ ნეფარიძე, ნინი ჯაჯანიძე, ნინო ღაჭავა, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, ჯაბა სირაბიძე, გიგა ასანიშვილი, როი გეთიაშვილი, კახი სანიკიძე

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; გუკა ბაკურაძე - **ოფისს-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;

E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები